რედაქცია: ფრეილინის ქუჩა, № 13. ტფილისი

ხელის მომწერნი გაზეთის დასაკვეთად მიჰმართვენ რედაქციას დილის 1„ საათიდან 3 საათამდე და სალამოს 6—7 საათამდე და „წერა კითხ. გამავრცელ. საზ." წიგნის მაღაზიას.

# ცნობის ფურცელი

ყოველ-დღიური გამოცემა.

გაზეთის ფასი: ერთის წლით 6 მან., ნახევარის წლით 4 მან. თითო ნომერი 3 კაპ.
ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზედ 10 კ., მეოთხეზედ 5 კ.

ადრესი
Тифлисъ, Фрейлинская № 13
Редакція „Цнобисъ Пурцели".

## გაზეთის ფასი ამ წლის დამლევამდე ერთი მანეთი

## „ცნობის ფურცელი"

გამოდის ყოველ-დღე, კვირა-უქმეების შემდეგაც

**გაზეთის ფასი:** ერთის წლით 6 მან., ნახევარის წლით 4 მან.

სხვა ვადით გაზეთის დაკვეთა არ შეიძლება.

თითო ნომერი ღირს ყველგან 3 კაპ.

**განცხადების ფასი:** ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზედ 10 კ. მეოთხეზედ 5 კაპ.

იმ ხელის მომწერთა, რომელთაც წლიური ფასის ერთბაშად შემოტანა გაუძნელდებათ, რედაქცია შეღავათს აძლევს: ხელის მოწერის დროს 2 მანეთი წარმოადგინონ და მერმე ყოველ თვე-და-თვე თითო მანეთი, ვიდრე 6 მანეთს შეასრულებდნენ.

სოფლის მასწავლებლებს გაზეთი წლიურად 5 მანეთად დაეთმობათ.

ადრესი რედაქციისა: Тифлисъ, Фрейлинская, № 13. Редакція „Цнобисъ Пурцели".

### რედაქციისაგან

„ცნობის ფურცელის" ნომრები 1-დამ მე-12-მდე, დასტამბული 1500 ეგზემპლიარად, უკვე დაურიგდა ხელის მომწერნთ. ახალი ხელის მომწერნი გაზეთს მიიღებენ მხოლოდ მე 13 № დან.

ქ. ქუთაისი

ქალაქის თეატრი

ქართული დრამატ. საზოგადოების დასის

რეპერტუარი

პირველი წარმოდგენა

კვირას, 3 ნოემბერს

**სამშობლო**

ისტ. დრამა 5 მოქმედ. თავ. დ. ერისთავისა

მეორე წარმოდგენა

ოთხშაბათს, 6 ნოემბერს

**ხათაბალა**

კომედია 4 მოქმედ. და 6 სურ. გ. ნ. სუნდუკიანცისა

მესამე წარმოდგენა

კვირას, 10 ნოემბერს

**ჟან-ბოდრი**

კომედია 4 მოქმედ. თარ. ფრანგულიდგან.

ამ პიესებში მონაწილეობას მიიღებენ: ქ-ნი გაბუნია-ცაგარლისა, აკალიშვილისა, ჩერქეზიშვილისა, გამყრელიძისა, ჩხეიძისა, ივანიძისა. ბ-ნი: აბაშიძე, ყიფიანი, მარჯანიშვილი, სვიმონიძე, შათირიშვილი, ბალანჩივაძე, თუთბერიძე, ნემო, გიორგაძე, თამაზიშვილი და სხვანი.

ადგილების ფასი ჩვეულებრივია.

დასაწყისი სწორედ 8 საათზე

რეჟისორი ვ. ალექსი მესხიშვილი

ადმინისტრატორი—კ. შათირიშვილი.

(10—ფ.—2)

## დეპეშა

გაზეთ „ცნობის ფურცლისა".

(„რუსეთის სატელეგრაფო სააგენტოსაგან").

30 ოქტომბერი.

**პოტსდამი.** 30 ოქტომბერს დიდი მთავარი ვლადიმერ ალექსანდრეს ძე მობძანდა სადგურ ვილდპარკში, სადაც იმპერატორი ვილჰელმი დაუხვდა. შემდეგ გულწრფელის მისალმებისა, იმპერატორი და დიდი მთავარი წაბრძანდნენ ახალს სასახლეში.

**ტრიესტი.** საბერძნეთის დედოფალი, პრინცესა მარიამი და დიდი მთავარი გიორგი მიხეილის ძე მობრძანდნენ დღეს და საღამოთი ვენაში გაემგზავრებიან.

**რომი.** გამოცხადდა წერილი, პაპის მიერ მენელიკთან გაგზავნილი და მაკარის მიერ მოტანილი პასუხი მენელიკისა. პაპი ამტკიცებს, ტყვეთა დაკავება მენელიკს ძალას არ მოუმატებს, ხოლო ათას დედისა და მეუღლის დარდს განაძლიერებსო. პაპი ამბობს: მე მიყვარან ტყვედ წაყვანილნი, როგორც ჩემნი შვილნი და ვაფიცებ მენელიკს წმიდა სამებას და რაც კი რამ ძვირფასია მისთვის, დაუბრუნოს ტყვეებს თავისუფლება. მენელიკის პასუხი იწყობა ჯერ მაკარის ქებით; შემდეგ სწერია: „მე მსურდა პირველად, ჩემის გულის წადილის მიხედვით, ამესრულებინა პატიოსანი სურვილი თქვენის უწმიდესობისა, რადგანაც მეცა ვსწუხვარ ბევრ უმანკო კაცთა დაღუპვის გამო, თუმცა მე არაფერში მედება ბრალი მათ დაღუპვაში. სამწუხაროდ, თქვენის უწმიდესობის სურვილის ასრულებას წინ გადაეღობა მოულოდნელი საქციელი იტალიის მთავრობისა, რომელიც ისე მექცევა მე, თითქოს ერთმანერთს ვეომებოდეთ, თუმცა თვითონვე გამოაცხადა სურვილი მორიგებისა. საქმის ასეთის ვითარებისა გამო, ჩემი მოვალეობა, როგორც მეფისა და ჩემის ერის მამისა, ვალადა მდებს მსხვერპლად შევსწირო საქმეთა ვითარებას ჩემი და თქვენის უწმიდესობის სურვილი და ხელთ შევირჩინო ერთად-ერთი თავმდები მშვიდობიანობისა. წერილის ბოლოს მენელიკი სთხოვს პაპს ამ საქმეში დახმარებას.

იტალიის ტყვეთა დამხმარებელ დედათა კომიტეტს მოუვიდა დეპეშა, რომლითაც ატყობინებენ, რომ მენელიკმა გაანთავისუფლა დატყვევებულნი ექიმნი. ექიმს ზარიკს ნება მიეცა ჰარრარიდგან წასვლისა.

**ბრიუსელი.** მეფემ შეიწყნარა თხოვნა სამხედრო მინისტრის ბრასინისა სამსახურიდგან გადადგომის შესახებ. დროებითი მართვა სამინისტროსი გზათა მინისტრს ჩაბარდა.

**ცეტინიე.** ქარიშხალის გამო მდინარეები ადიდდა და დიდძალი მანძილი წალეკა. გზები შეიკრა. სკუტარიის ტბამაც წალეკა მის ნაპირებზედ მდებარე ქალაქები და დაბები. დაღუპულთა რიცხვი ჯერ არავინ იცის. თავადი დაუყოვნებლივ გაემგზავრა საშიშ ადგილებისაკენ.

**ლონდონი.** სარწმუნო კაცნი ამტკიცებენ, რომ ჩინეთისა და იაპონიის შორის ომის დროს ჩინეთი ინგლისს ნებას აძლევდა ფორმოზის კუნძული დაიჭირეო.

### კანონი და მთავრობის განკარგულება

#### პენსიის დანიშვნა

უქაზისამებრ უწმინდესისა სინოდისა, 28 ენკენისთვიდამ 1896 წლისა მე-4878 ნომრით, დაენიშნათ პენსია ქვრივებს:

ა) იმერეთისა: უბისის ეკკლესიისას ალფეზ ბარათაშვილს 130 მანათი, 30 მაისიდამ 1896 წლისა, ქუთაისის სამაზრო ხაზინიდამ.

მათხოჯის ეკკლესიისას ტიმოთე ქუთათელაძეს 130 მანათი, 1 ნოემბრიდამ 1895 წლისა, ქუთაისის სამაზრო ხაზინიდამ.

ჯვარისის ეკკლესიისას გაბრიელ ბოჭორიშვილს, 28 დეკემბრისთვიდამ 1895 წ., ქუთაისის სამაზრო ხაზინიდამ.

დედა-ღვთის ეკკლესიისას სიმონ გორდულაძეს, 2 მარტიდამ 1895 წლ., ქუთაისის სამაზრო ხაზინიდამ.

მღვდლის ქვრივებს, 65 მანათი წელიწადში: არგვეთის წმიდის გიორგის ეკკლესიის მღვდლის სპირიდონ აბრამიშვილისას—რუსუდანს, 24 მარტიდამ 1895 წლისა, ქუთაისის ხაზინიდამ; საყაჯარდის მაცხოვრის ეკკლესიის მღვდლის გიორგი ლეკვეიშვილისას—მაკრინეს და ამის მცირე წლოვანს ძეს ვალერიანეს, პირველს 65 მან. და მეორეს 25 მან. წელიწადში, სულ 90 მან., 24 მარტიდამ 1895 წლ., ქუთაისის სამაზრო ხაზინიდამ.

ბ) გურია-სამეგრელოისა: შტატგარეშე მღვდლებს 130 მანათი წელიწადში: სუხჩის ღვთის-მშობლის მიძინების ეკკლესიისას ეგნატე მაღლაძეს, 17 მაისიდამ 1894 წლისა, სენაკის სამაზრო ხაზინიდამ.

ოქროსქედის ეკკლესიისას ბესარიონ ჯინჭარაშვილს, 28 ენკენისთვიდამ 1895 წლისა, ფოთის ხაზინიდამ.

ხიბათის წმ. გიორგის ეკკლესიის მღვდლის იოსებ ჯორბენაძის ქვრივს—კესარიას და ამის მცირე წლოვანს შვილებს:— ეფროსინეს, დომინიკეს, ფილიმონს, ელათიას და ნესტორს,

პირველს 65 მან. და შვილებს 25 მან., 13 ნოემბრიდამ 1895 წლისა, ფოთის ხაზინიდამ.

გადაწყვეტილება უწმიდესის სინოდისა

უწმიდესის სინოდის გადაწყვეტილებით, 11—18 ენკენისთვიდამ 1896 წლისა № 2776-ით, დადგენილ არს: ქუთაისის საქალაქო ეკკლესიების ბლაღოჩინის, მღვდლის ნესტორ ყუბანეიშვილის მიერ შედგენილი და გამოცემული ქართულს ენაზედ წიგნი სათაურით: „სახელმძღვანელო საღმრთო სჯულის შესასწავლად“—მიღებულ იქმნეს საქართველოს საექსარხოსოს ერთკლასიანს საეკკლესიო სამრევლო სკოლებში საშველ სახელმძღვანელო წიგნად საღმრთო სჯულის სწავლებაში.

# ახალი ამბავი

*** ჩვენ მოგვივიდა შემდეგი ცნობა ჩვენის კორესპონდენტისაგან დუშეთის მაზრაში ვექილის ალექსანდრე შაიშმელოვის მოკვლის შესახებ:

„შაიშმელოვი ლეხურის ხეობის სოფელ ჰაჰამურიდგან ცხენით მიდიოდა სოფელ ზახორში. ამ სოფელში შაიშმელოვს ელოდდა სასამართლოს ბოქაული, რომელსაც იმ დღეს, შაიშმელოვის თხოვნით და მის მიერვე წარდგენილ სასამართლოს აღმასრულებელ ფურცელის ძალით უნდა გაეყიდნა საჯარო ვაჭრობით ვიღაც კაცის მამული და ქონება. შაიშმელოვს თან ახლდა ორი კაცი, ცხენებითვე. ერთი მათგანი ოსი ყოფილა. უეცრად ტყეში ორჯერ ზედიზედ გაისმა თოფის ხმა და სასიკვდილოდ დაჭრილი შაიშმელოვი ცხენიდგან გადმოვარდა. პოლიციის ბოქაულმა თავ. შალიკაშვილმა შეიტყო რა ეს ამბავი, იმ წამსვე შეუდგა იმ კაცების გამოკითხვას, შაიშმელოვს რომ ახლდნენ, მაგრამ ორთავემ უპასუხეს, ტყეში თოფის ხმა გაისმა ორჯერ, შაიშმელოვი ცხენიდგან გადმოვარდა. მეტი არაფერი ვიცით, ტყეში არავინ გვინახავს არც შაიშმელოვის მოკვლამდე, არც მერე. ჩვენ თითონ ისე შეგვეშინდა თოფის ხმისა, რომ ორთავენი გადმოვარდით ცხენებიდგანაო.

„ბოქაულმა ყოველივე შეატყობინა პროკურორს და გამომძიებელს.

„შაიშმელოვის გვამი გასჭრეს. თავში ორი ტყვია ჰქონდა მოხვედრილი, ერთი თურმე—საფეთქელში“.

*** ტფილისის გუბერნიის სახელმწიფო ქონებათა მმართველობამ მიჰმართა მეურნეობის სამინისტროს და სთხოვა, ნება მოგვეცით, ტფილისის ახლო, კრწანისში რომ სახელმწიფო მიწებია, იჯარით გავცეთ, რომ მსურველებმა ზედ სახლები ააშენონო.

*** კავკასიის მთავარმართებლის განკარგულებით ალექსანდრე კარახანიანცი და კატორგიდგან გამოქცეული ლევან ამინოვი სამხედრო სამართალში იქმნენ მიცემულნი. ორთავეს ბრალდებათ ვაჭარის აკოფოვის მოკვლა და განზრახვა აბოვიანცისა, მარქაროვისა და სხვების მოკვლისა. საქმე დანიშნულია განსახილველად ტფილისის სამხედრო სასამართლოში 28 ნოემბერს.

*** თავად- აზნაურთა ბანკის ზედამხედველ კამიტეტს დიდი ხანია რაც მოლაპარაკება ჰქონდა გამართული ცნობილ მხატვრის ბ. გ. გაბაშვილის საშუალებით რამდენსამე მუნხენელ სკულპტორთან დიმიტრი ყიფიანის ძეგლის აგების შესახებ. ეს საქმე აქამდის სასურველის სიჩქარით ვერ მიდიოდა და ეხლა-კი, როცა ბ. გ. გაბაშვილს პირადადაც დაავალა ზედამხედველმა კომიტეტმა ამ საქმის დათავება. იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ ჩვენი საზოგადოება მოკლე ხანში მოესწრება დიმიტრი ყიფიანის ძვირფასის საფლავის ძეგლით შემკობას. ბ. გაბაშვილი ამ ერთ კვირაში აპირებს სამზღვარ გარეთ წასვლას და თან მიაქვს დ. ყიფიანის რამდენიმე ფოტოგრაფიული სურათი, ბიოგრაფიულნი ცნობანი მის შესახებ და ძველი ქართულის მხატვრობის ორნამენტები. ამ ცნობებს გადასცემს ბ. გაბაშვილი მუნხენელ ერთ ცნობილს სკულპტორს, რომელსაც უკვე ნატვირთი აქვს ძეგლის პროექტის შედგენა და, თუ ეს პროექტი მოწონებულ იქმნა, აგებაც. ამ ნაირად იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ მოკლე ხანში ქართველ საზოგადოების დიდი ხნის სურვილი შესრულდება. ჩვენა გვგონია, რომ ძეგლის დადგმის უკეთეს დროთ უნდა ჩაითვალოს მომავალი მაისი, რა დროსაც მთელი ქართველი საზოგადოება მოიკრიბება თბილის'ში ბანკისა და თავად-აზნაურთა არჩევანებისათვის.

*** წარსულ ოქტომბრის 23-ს, რუსულ გაზეთების სიტყვით, პეტერბურგში საზოგადო კრება მომხდარა რუსეთის ფუტკრის გაშენების საზოგადოებისა, სადაც, სხვათა შორის, კავკასიის ფუტკრის გაშენების მმართველს ნ. ნ. შავროვს წაუკითხავს თავისი მოხსენება შესახებ ფუტკრის გაშენებისა კავკასიაში და კრებისათვის წინადადება მიუცია, რომ მომავალ წლისათვის, კიევში საზოგადო კრების შემდეგ, ფუტკრის გამშენებელ საზოგადოებას მოესხდინა რამდენიმე სხდომა კავკასიაში და სხვათა შორის ტფილისში, კავკავში, ეკატერინოდარში და სხვაგან. საზოგადო კრებას სიხარულით მიუღია ეს წინადადება.

*** რკინის გზის მმართველობას განზრახვა აქვს თურმე რუსეთის სამხრეთ ადგილებიდან გაააღვილოს ღვინის გადატანა რკინის გზებით ჩრდილო რუსეთში—პეტერბურგსა, მოსკოვსა და სხვა ადგილებში.

*** ფინანსთა სამინისტროში ამ ჟამად კითხვა აღძრულია იმის შესახებ, რომ გამსესხებელ კასსებს და კანტორებს წაერთვას ის უფლება, რომელიც დღემდე ჰქონდათ, ესე იგი,—დაგირავებულ ნივთის გაყიდვის შემდეგ თუ რამ მეტი რჩებოდა, თვითონ კასების პატრონთ ჰქონდათ, სანამ გაყიდულ გირაოს პატრონი არ მოაკითხავდა და მომეტებულნი არც-კი მოაკითხავდენ ხოლმე, ხოლო ეხლა გაყიდულ გირაოსაგან დარჩენილი ფული კასის პატრონებმა უნდა შეიტანონ ან სახელმწიფო ხაზინებში ანუ ბანკებში და აქედან მიეცემათ გირაოს პატრონთ.

*** წარსულ თვეს საბჭომ ამოარჩია მუდმივი საფინანსო კომისია, რომელმაც უნდა განიხილოს ყოველი ახალი ხარჯი ქალაქის სხვა-და-სხვა საჭიროებისათვის და წარადგინოს თავისი შეხედულება ქალაქის საზოგადო მეურნეობაზედ. კომისიას შეადგენს შემდეგი შვიდი ხმოსანი: თავადი პ. მ. არღუთაშვილი-მხარგრძელი, კ. მ. ალიხანოვი, ა. ს. ბაბოვი, ა. თ. ფრიდონოვი, ი. ა. თაიროვი, მ. ი. თამამშოვი და ა. ი. შახაზიზოვი-კამსარაკანი. დასახელებულნი პირნი მოწვეულ იყვნენ 31 ოქტომბერს კომისიის პირველ კრებაზედ. რადგან შინაურ უბედურობისა გამო ქალაქის თავის მოადგილეს ა. ა. ივანენკოს არ შეეძლო დასწრებოდა ამ კრებას, ამიტომ კრება შესდგა გამგეობის წევრის ქ. ა. ვერმიშევის თავმჯდომარეობით. ამ

## ვაჭრების საყურადღებოდ.

### პარიზის მაღაზია „ბონმარშე“

პარიზში სხვა-და-სხვა ფირმებთა შორის ყველაზედ უფრო მდიდარი და დიდი ფირმა არის სავაჭრო სახლი, რომელიც დააარსა 1876 წელს არისტიდ ბუსიკომ. ეს ფირმა იმდენად შესამჩნევია, რომ ჩვენ დაწვრილებით მოვუთხრობთ მკითხველებს ყოველივეს და ვფიქრობთ, რომ არა თუ ვაჭრებისათვის, არამედ სხვა მკითხველებისათვისაც საინტერესო იქნება.

„ბონმარშე“ რვა სართულიანი სასახლეა, ერთ-ერთ უმთავრეს პარიზის ქუჩაზედ. თუ გსურთ მისი დახედვა და ყველაფრის დაწვრილებით გაგება, შეგიძლიანთ მიხვიდეთ მაღაზიაში ნაშუადღევს $3^1/_2$ საათზედ.

სწორეთ ამ დროს შევდივართ სასახლეში და რამოდენსამე წამს ვიცდით მაღაზიის სამკითხველოში. ვსარგებლობ შემთხვევით და აგიწერთ ამ სამკითხველოს. ეს არის უშველებელი დარბაზი, თეატრის მზგავსად აშენებული. შუაზედ დიდი მაგიდა სდგას სავარძლებ შემოწყობილი. ამ მაგიდას შეიძლება 200 კაცამდე მოუსხდეს და რომელ ენაზედაც ნებავს, ან რომელი ქვეყნის გაზეთი ან ჟურნალი, ის წაიკითხოს. კედლები ყოველის მხრით სურათებით არის მორთული. მაღაზიის პატრონი ყოველ მხატვარს აძლევს ნებას გამოფინოს თავისი ნაწარმოები ამ დარბაზში ექვსი კვირის განმავლობაში. მხატვრებიც, რასაკვირველია, სარგებლობენ ამ ნებართვით და ყოველ სურათს აწერენ თავის ფასს და ისე აფენენ. ამ დარბაზში ყოველ დღე არა ნაკლები 4—5 ათასი კაცი შემოვა და გაივლის და ამისათვის აქ უფრო მალე იყიდება მოწონებული სურათები. ვსთქვათ, თქვენ მოსულხართ მაღაზიაში რაიმეს სასყიდლად, იყიდეთ და გნებავთ დაისვენოთ ან გაზეთი წაიკითხოთ, ან წერილი მისწეროთ ვისმე —მობრძანდით ამ დარბაზში, მიუჯექით მაგიდას და თქვენ წინ ყველაფერია: ქაღალდი, კონვერტი, გაზეთი, წიგნი და ყოველივე ეს უფასოდ.

დაჰკრა $3^1/_2$ საათმა. სწორედ ამ დროს შემოვა კარგათ ჩაცმული ყმაწვილი კაცი და თავაზიანათ გვთხოვს: “ვისაც სურვილი აქვს დახედოს ყველა განყოფილებანი ამ სავაჭრო სახლისა, ვსთხოვ გამომყვეს და მე ბედნიერი ვიქნები, თუ ჩემი სამსახურით ვასიამოვნებ: ჩემთან ერთად სავარძლიდგან წამოდგებიან ბევრი სხვაც და გავყვებით ჩვენს ჩიჩერონეს. შევდივართ მეორე დიდ დარბაზში, რომლის ფანჯრები ფარდით დაფარულია და კედლებზედ გაზის და ელექტრონის კანდელებია.

— ეს, ბატონებო, იმისათვის გვაქს, რომ თუ ვისმე ნებავს გაიგოს, რა ფერი ექმნება ღამით სხვა-და-სხვა მატერიას, აქ მოვიყვანთ და ნებავს გასინჯოს გაზის სინათლეზედ, ნებავს ელექტრონისა. ჩიჩერონე აგვიხსნის, რომ საკუთრად ყველა მაღაზიის განყოფილების განათებისათვის ჩვენ გვაქვს ძირის სართულში 50 დინამო-მაშინა, რომელიც აბრუნებს 9 დიდი ორთქლის მანქანას და ანათებს 3900 ედისონის სისტემის ლამპრებს. ამ განათების შესაფერად მკითხველს შეუძლიან წარმოიდგინოს თუ რა უზარ-მაზარი შენობა უნდა იყო „ბონმარშეს“ სავაჭრო სახლი. ის აშენებულია 8 სართულად ორი დღიურის ოდენა მანძილზედ!

ორთქლის მანქანები არა თუ მარტო განათებისათვის არის საჭირო, არამედ მათი წყალობით ათბობენ მთელს სახლს, აკეთებენ საჭმელებს, ამოჰყავთ წყალი უშველებელ ჭებიდამ და ეზიდებიან საქონელს სხვა-და სხვა სართულებიდგან..

დავიარეთ განყოფილება და დარბაზები, სადაც ჰყიდიან აბრეშუმეულს, შეკერილ ტანთ-საცმელს,

კრებაზედ საფინანსო კომისიის თავმჯდომარედ არჩეულ იქმნა ა. ს. ბაბოვი. ერთის კვირის შემდეგ კომისია კვლავ შეიკრიბება, რათა შეუდგეს მომავალის წლის ხარჯთ აღრიცხვის განხილვას.

*** ჩვენ გვატყობინებენ, რომ ბ. ლისნევსკი, რომელსაც ჩაბარებული ჰქონდა თვალ-ყურის ჭერა ქალაქის ტყის მოშენებაზედ, თავსანებებს ამ მოვალეობასაო. ვინც იცის ბ-ნ ლისნევსკის ნამუშევარი სახელმწიფო ტყეების გაშენების საქმეში თელეთის მთებზედ, სანანურად დაჰრჩება, რომ იგი აღარ იმოქმედებს ქალაქის ახალ საქმეზედ. ტყის მოშენება სახუმარო არ არის და არც ბევრს აქვს მისი უნარი. საფიქრებელია, რომ ფული, ოთხიათას თუმნამდე, რომელიც ქალაქმა ჩაჰყარა ტყის მოსაშენებლად კუკიის მთებზედ, უნაყოფოდ ჩაივლის და მცხოვრებნი თავისს დღეში ვერ ეღირსებიან ტყის ჩრდილოს ამ ხრიოკ ადგილებზედ.

*** დღეს დანიშნულია უკანასკნელი კრება კომისიისა, რომელსაც მინდობილი ჰქონდა წარმოედგინა თავისი აზრი ქალაქის საბაზრო და სამეურნეო მოხელეთა შესახებ. საბჭომ დაადგინა, რომ საბაზრო პოლიცია უნდა გაცალკევებულ იქმნას სამეურნეო პოლიციიდამაო. კომისიამ ეს დადგენილება საბჭოსი უნდა განახორციელოს ახალ დაწესებულებათა შემწეობით, რომლის პროექტიც კვლავ უნდა წარედგინოს საბჭოს.

*** ხუთშაბათს, 31 ოქტომბერს, საღამოს 8 საათზედ გოლოვინის პროსპექტზედ მოდიოდა ტრამვაის ვაგონი. ერთი მუშა კაცი მიუახლოვდა ვაგონს და უნდა ჩამჯდარიყო, მაგრამ ვაგონის მეეტლემ (კვარად ჟილკოვმა) ვაგონი არ გააჩერა, მუშა კაცს ფეხი დაუცდა, გადმოვარდა და ვაგონის თვალმა ფეხზედ გადაუარა. ვაგონმა გასწია, ვითომც აქ არაფერი მომხდარაო. დაშავებული მიხეილის სამკურნალოში გაჰგზავნეს.

*** ჩვენ მივიღეთ ჭელიძისა და იმედაშვილის მიერ გამოცემული ახალი წიგნაკი „რას იცინი?“ არაკი თომაანთ კობასი. ფასი 3 კაპ.

ამასთანავე ჩვენ გვთხოვენ გამოვაცხადოთ, რომ იგივე ჭელიძე და იმედაშვილი ჰბეჭდავენ ახალს წიგნს »ბიძია თომას ქოხი«, თხზულება ბიჩერ-სტოუსი, თარგმანი ო. ბუქანიშვილისა.

*** ამას წინად ჩვენს გაზეთში მოხსენებულ იყო, რომ 18 ოქტომბერს ტრამვაის კონდუქტორმა ტავლინსკიმ ხელი ჰკრა ვაგონში მჯდომ ქ-ნ მეკლერს და როდესაც ქალმა შენიშნა: თავაზიანობა გკლებიაო, ტოვლინსკიმ უშვერის სიტყვებით გალანძღა და თვალში მუშტი დაჰკრა.

მომრიგებელმა მოსამართლემ ტოვლინსკის სამის თვით ციხეში დაპატიმრება გადუწყვიტა.

*** ჩვენ გვწერენ აბაშიდამ: აბაშის ავლადიდება არა ერთხელ მოხსენებულა ადგილობრივ გაზეთებში, მაგრამ არ იქნება ურიგო, კიდევ მოვიხსენიოთ.

ადგილობრივნი მცხოვრებნი ეტანებიან უფრო სიმინდის და აბრეშუმის მოყვანას; აბაშაში ვაჭრებიც ბევრია და მრავალი სხვა-და-სხვა სავაჭროებით ვაჭრობენ.

ნათქვამი არის: „მოყვარეს პირში უძრახე და მტერს პირს უკანაო“; აგერ რამოდენიმე წელიწადია, რაც ეს ქალაქი არსებობს და დღითი დღე თუ ემატება, თორემ არაფერი აკლდება; მხოლოდ ეს არის სავალალო, რომ ერთს საზოგადოებისათვის გულ შემატკივარს ვაჭარს ვერსად შეხვდებით. ჩვენ არც წიგნთ-საცავი გვაქვს და არც წესიერება არის დაცული, როგორც რიგია საჭიროების დროს. მიკვირს, რატომ არ გადახედავენ თავის მეზობელ გურიას, სადაც არც ერთი ბაზარი არ მოიპოვება და თითქმის სოფელიც, რომ წიგნთ-საცავ-ბიბლიოთეკები არ იყოს გაჩაღებული; დროების მოტანით თამამად შეიძლება გურიას კაცმა პატარა შვეიცარია უწოდოს: მწერლობითი ნაწარმოებს ყველანი გულის სიუხვით ეკიდებიან, რასაც შეუძლია კაცთ-მოყვარეობა, ამხანაგობა და ძმობა დაამყაროს ქვეყნიერობაზე.

აქ-კი მეტ ნაწილად ხანჯლის ტრიალის და ქაღალდის თამაშის მეტს არას ეტანებიან, რომლისაგან უსარგებლობის მეტი არაფერი წარმოსდგება... განა არ შეიძლება, ვინმე კეთილმა პირმა ითავოს ბიბლიოთეკის კეთილი საქმე, და სისრულეში მოიყვანოს?.

აქეთ მოსავალი წრეულ მეტად ნაკლებია, ასე რომ ზოგიერთ საკვებათაც არ ეყოფათ არამც თუ გასაყიდათ; რაც მოვიდა, მარცვალი კიკარგი აქვს. ყურძენი და ღომი, თუმცაღა პირველი თითქმის სულ არ მოდის, მაგრამ უდროვო დროს ქარმა სულ ერთიანა გაანადგურა...

*** ჩვენა გვწერერენ, რომ 28 ოქტომბერს, აჭარაში, სოფელ საღორეთის მახლობლად შერვაშიძე დაეწია ყაზახებით ავაზაკებს, რომელთაც გაქურდეს სოფ. დაგვის მცხოვრები ბერძენი ივანე გონიადი და თითონაც თან წაიყვანეს. ყაზახებსა და ავაზაკებს შორის ასტყდა თოფის სროლა. ავაზაკების მხრივ მოკლულ იქმნა ორი კაცი და ორიც დაიჭრა.

*** სომხურ გაზეთს „ნორ-დარს“ ქუთაისადან ატყობინებენ, რომ ქალაქში ხმა დადის, ვითომც ბ-ნ პალმს თავისი გაზეთი „ჩერნომორსკი ვესტნიკი“ ბათომიდამ ქუთაისში გადმოაქვსო, და როგორც ამბობენ, „ჩერნომორსკი ვესტნიკი“ გარდაიქცევა „ქუთაისის საგუბერნიო უწყებათა დამატებად. ამბობენ აგრეთვე, რომ ამისათვის ბ-ნ. პალმს მიეცემა ყოველ წელიწადს სუბსიდიად 5000 მანათი.

ამ ამბავს ჩვენის მხრივ უნდა დავსძინოთ, რომ, თუმცა მართალია, პალმმა ამ გვარ თხოვნით მიჰმართა ქუთაისის გუბერნატორს, მაგრამ ეს თხოვნა, შეწყნარებულ არ იქმნა.

*** 29 ოქტომბერს, თათრის ბაზარში მოხდა დიდი ჩხუბი და არეულობა, გვწერენ ბათუმიდგან. რამდენიმე კაცი ერთ მეგრელის დუქანში შევიდ აარაყის დასალევად. თითოოროლა არაყი რომ გადაჰკრეს, და დუქნის პატრონმა ფული მოითხოვა. მუშტრებმა ჩხუბი დაუწყეს, მე არ დამილევია და ფული რაში უნდა მოგცეო. მეგრელს უნდოდა ეს უსიამოვნო სტუმრები მოეშორებინა, მაგრამ იქვე მიწაზედ დასცეს. მეგრელს თავისიანები მიეშველნენ, მისს სტუმრებს კიდევ სხვები და შეიქმნა ერთი უშველებელი ჩხუბი და აყალმაყალი, მუშტი-კრივი და ქვის სროლა. ოთხი კაცი დაშავდა. ერთი ფიცრის ფარდული დაანგრიეს. ბოლოს მოვიდა პოლიცია და, როგორც იქმნა, ჩხუბს ბოლო მოეღო.

*** ერევნის გუბერნიის ქ. ნახიჩევანში სამხედრო სასამართლომ ამ დღეებში განიხილა საქმე ორის ავაზაკისა,

---

ერთი სიტყვით, თუკი ქვეყანაზედ რაიმე არის გასასყიდი—აქ ყველაფერს იშოვნით და იყიდით—რადგან სავაჭრო სახლი იმ აზრით არის დაარსებული, რომ ყოველივე ნაწარმოებით ივაჭროს და არა ერთი რომელიმე საგნით.

ვსთქვათ, თქვენ გნებავთ დასახლდეთ პარიზში. მიბრძანდით ამ მაღაზიაში, მებელი გნებათ—აქ არის განყოფილება, ხალები, სარკეები, ფარდები, სამზარეულოს მოწყობილობა—სანთელი, წუმწუმა, პრობკის ამოსაღები რა არის, იმასაც კი ჰყიდიან აქა!

შევდივართ სამზარეულოში: ადვილი წარმოსადგენია ამ დარბაზის სივრცე, თუ დავასახელებთ, რომ ამ სამზარეულოში ყოველ დღე კეთდება საუზმე და სადილი 4800 კაცისათვის. სწორედ ამდენი ნოქარი და მოსამსახურეა ამ უზარ-მაზარ „ბონმარშეში“.

ქვაბი, სულ 9 არის წვნიანისათვის, ჩადის 365 ვედრო წყალი—წვნიანის მოსარევათ მანქანით მოწყობილი კოვზებია გაკეთებული—ბივშტეკის ან კატლეტების შესაწვავად გაკეთებულია რკინის ღუმელები და ორთქლის წყალობით 8—6 წამის განმავლობაში 500-600 ულუფას ამზადებენ. კარტოფილი და კვერცხების მოსახარშავათ სხვა-და-სხვა მანქანებით მოწყობილი ღუმელებია. კარტოფილი ყოველ დღე იხარშება არა ნაკლები 37 ფუთისა და კვერცხი-კი 10,000 უნდება მარტო საუზმედ... პურსაც და ხორბალსაც მანქანით სჭრიან. სამზარეულოში ნამეტნავად ცხელა და მზარეულნი რომ ძალიან არ შეწუხდნენ, მათთვის ცალკე გამაგრილებელი დარბაზია სამზარეულოს გვერდით მოწყობილი, სადაც ისინი გავლენ ხოლმე და ცოტას ხნით სულს მოითქმენ.

სასადილო დარბაზი მართლა რომ უზარმაზარია, 1200 კაცისათვის მოწყობილი. ამნაირად 12 საათიდამ დაწყობილი 8 საათამდის, რა დროსაც უნდა შეხვიდეთ, ეს უზარმაზარი დარბაზი სავსეა მოსადილე ან მოსაუზმე ნოქრებით და მოსამსახურეთი. ქალებს თავიანთი სასადილო დარბაზი აქვსთ. საუზმეთ ეძლევათ სამი თავი საჭმელი და ყავა—სადილად-კი ოთხი თავი და ყავა. ღვინოს, ლუდს რამდენსაც მოითხოვენ—მაგრამ ჯერ არ ყოფილა მაგალითიო, გვიამბობს ჩვენი ჩიჩერონე, რომ აქ ვინმე დამთვრალიყოსო.

სადილიც და საუზმეც მუქთად ეძლევათ ყველას—ეს იმიტომაო, რომ თუ შინ წავიდნენ ან რესტორანში ნოქრები, ბევრი დრო იკარგება და საქმეს ხელს შეუშლისო.

მესამე სასადილო დარბაზი არის დანიშნული მეეტლეთათვის და დაბალ ხარისხის ნოქრებისათვის, რომელნიც ნავაჭრ საქონელს ეზიდებიან მაღაზიიდამ და არიგებენ მთელს ქალაქში, ვინც-კი მოისურვა, რომ მისი ნასყიდი სახლში მიუვიდეს.

რიცხვი ყველა მაღაზიაში მოსამსახურისა, როგორც მოვიხსენიეთ, 4800. ამათგან 3600 ვაჟია, 550 ქალი და 650 მეეტლე და საქონლის დამტარებელი. ამ რიცხვის შედარებით უნდა ყოველდღე მომზადდეს 4800 ულუფა—რის გაკეთებაზედაც იხარჯება 115 ფუთი ხორცი, 120 ფუთი პური, 25 ფუთი ერბო, 1000 ქათამი—წვნიანი, როგორც ვსთქვით 365 ვედრო წყლით იხარშება. ასი კაცი მსახურობს სადილის დროს—სასადილო ოთახიდამ სამზარეულოში თაროებია გაყვანილი და ყოველი ნოქარი მივა ამ თაროებთან და მოითხოვს თავის ულუფას. ქალებს-კი მოსამსახურენი მიართმევენ ხოლმე საუზმე-სადილს. ღვინოსა და ლუდს ყოველ-დღე დალევენ არა ნაკლებ 4000 ბოთლისა.

(შემდეგი იქნება)

რომლებიც განთქმულ ავაზაკ ნაზისთან ერთად ქურდობდნენ. დამნაშავეთ ბრალდებოდათ კაცის კვლა და გაძარცვა. გაზეთის „ნორ-დარის“ სიტყვით, სასამართლომ ორთავეს ჩამოხრჩობა გადუწყვიტა. განაჩენი კავკასიის მთავარ მართებელს წარედგინა დასამტკიცებლად.

*** სენაკის მაზრიდამ გვატყობინებენ, რომ 24 ოქტომბერს ძრიელი წვიმა მოვიდა და წყლები ყველგან ადიდდა. მდინარე აბაშა ისეთი მომატებულ იყო და საშიშარი, რომ ვერ ვინ ბედავდა გადასვლას მეორე მხარეზედ. ნოღალევსა და სენაკს შუა ხშირი მიმოსვლა არის და აბაშაზედ ხიდი არა გვაქვსო—დილიჟანები დადის, მაგრამ ყოველთვის ფონად უნდა გავიდეს. ამ დღესაც დილიჟანი მოადგა აბაშას, მაგრამ ფონი ვერ იპოვეს. მოგზაურებს კი ძალიან მიეჩქარებოდათ და გაბედეს პირდაპირ წყალში ჩასვლა—დილიჟანი წყალმა გადააბრუნა და მოგზაურთა შორის, მთავარ-დიაკონი ოსიძე რომ არა ყოფილიყო—წყალი იმსხვერპლებდა ორ კაცს და ცხენებს—ყველა ამათ ოსიძემ უშველათ.

*** ახალ წლიდგანაო, სწერს „თერგის უწყება“, კავკავში დაარსდება კერძო ბიბლიოთეკა და სამკითხველო, რომელშიაც გამოწერილ იქმნება რამდენიმე ათასი წიგნი და მრავალი ჟურნალ-გაზეთები. იქვე მიიღება ხელის მოწერა რუსეთისა, ევროპისა და ამერიკის ყველა ჟურნალ გაზეთებზედ. ბიბლიოთეკის დაარსებაში იღებენ მონაწილეობას პეტერბურგისა და მოსკოვის წიგნების ვაჭრები: კარბასნიკოვი, სტასულევიჩი და ქიქინაძე.

*** ეგრისიდგან გვწერენ, რომ კვირას, 27 ოქტომბერს, ფერშალს გიორგი რუხვაძეს დანით ყელი გამოუჭრია. განსვენებული ორმოცდაათის წლის კაცი იყო. ამ ორი თვის წინად ჭკუაზედ იყო თურმე შეშლილი. როგორც ამბობენ, რუხვაძეს წერილი დაუტოვებია: ჩემი სიკვდილი არავის დააბრალოთო. განსვენებულს ცოლი და წვრილ-შვილი დარჩა უპატრონოდ.

*** ქ. იალტა. ადგილობრივ გაზეთის სიტყვით, შაბათს 2 ნოემბერს, მაჰმადიანთა მეჩეთში, მუსტაფა-ნურის ექვსის წლის ქალმა ზეპირად უნდა წაიკითხოს მთელი ყორანი (600 გვერდზედ მეტია).

## სასამართლოს მატიანე.

გრიგოლ კონსტანტინეს ძე აბაშიძისა, ღ გლეხთა: მოდებაძისა და სხვათა საქმე, რომელთაც ბრალდებათ მკვლელობა, წარსულ ოქტომბერს სასამართლო პალატაში დანიშნულ იყო გასარჩევად და გადიდვა,—ხელახლად დაინიშნა განსახილველად 7-ს მომავალ ქრისტეშობისთვისათვის.

## სასამართლოს მატიანე.

ჩვენმა მკითხველებმა უკვე უწყიან, 30 ამა თთვისას სამოსამართლო პალატამ რა განჩინება დასდო თ-დ შიხი ტუსიშვილს, ანდრონიკაშვილს, ბარათაშვილს, გედევანიშვილს, მუხრანსკის და სხვებს პამპალოვის ქალის მოტაცების თაობაზედ.

სამოსამართლო პალატაში საქმის გარჩევა დაიწყო 12 ნახევარზედ. თავმჯდომარე პალატისა ვრაჟსკი, წევრნი პალატისა: კოლბასინი და სტალინსკი. ბრალმდებელად იყო პროკურორის ამხანაგი ხლადოვსკი. საქმე მოახსენა პალატას კოლბასინმა; აღმოჩნდა, რომ წარსულ წლის მაისის თვეში მცხეთიდან წილკანს მიმავალს გზაზე დუქანში შემთხვევით შეკრებილან თავადნი: მიხეილ მუხრანსკი თავის მხლებლით, პაატა გედევანიშვილი თავის ბიჭით, შიხი ტუსიშვილი, ლევან ანდრონიკაშვილი, ნიკოლოზ ბარათაშვილი და სხვები და იმავე დუქანში დარჩენილან ღამის გასათევად. მეორე დღეს თავადს ტუსიშვილს ყველა ეს ყმაწვილები მიუწვევია სადილზე, თავის სახლში, სოფელ ახატანში. გზაში, როდესაც მიატანებენ პამპალოვის სახლს, შიხი ტუსიშვილი ეტყვის თავის სტუმრებს: აქ დამიცადეთ ამ წამს მოვალ: თითონაც შევა პამპალოვის ეზოში, ცხენ და ცხენ მიადგება სახლს, სადაც პამპალოვის ქალის—ეკატერინას დედა გამოეგებება. ტუსიშვილი ეტყვის: ეკატერინას ტფილისიდან წერილი მოვუტანე და სთხოვეთ გამოვიდესო. დედაც შვილს გარეთ გამოგზავნის. ტუსიშვილი წერილის გადაცემის მაგივრად სტაცებს ხელს ქალს და წაიყვანს. ეზოს რომ გასცილდება, იქვე თავისს კრებას გადასცემს ქალს, მაგრამ ამ დროს ქალის დედა დაინახავს ამ ამბავს თუ არა, დაიწყებს ყვირილს; ამ ყვირილზე გადმოსცვივიან ბიჭები თუ მეზობლები, რომლებსაც უნდათ, რომ მოტაცებული ქალი გააშვებინონ, მაგრამ ტუსიშვილსა და მათ შორის ატყდება ჩხუბი და ამ ჩხუბში დაიჭრება ერთი კობიაშვილი და მეორე იქაური გლეხი. ქალის მომტაცებლები განაგრძობენ თავიანთ გზას. რვა დღის განმავლობაში მოივლიან გორისა და დუშეთის მაზრას. პამპალოვის ქალზედ ამ ხნის განმავლობაში ტუსიშვილი ჯვარს დაიწერს ქალის მხრივ თანხმობით, მაგრამ პოლიცია მაინც ფეხ-და-ფეხ დასდევს ამ კრებას და ხშირადაც ეკითხება ეკატერინა პამპალოვის ასულს: თუ გნებავთ გაგანთავისუფლებთ ამათ ხელიდანო, მაგრამ ქალი მუდამ უარს ეუბნებოდა. უკანასკნელად, როცა დუშეთს მიაღწიეს, იქ მართებლობის განკარგულებით კიდეც დაატუსაღეს თავადი ტუსიშვილი და სხვებნიც და ქალს გამომძიებელმა გამოკითხვა დაუწყო. ქალმა, რასაკვირველია, უთხრა, რომ „მე ჩემის ნებით გავყევ და მისი კანონიერი ცოლიც გავხდი და თუ შეიძლებოდეს თავი დამანებეთო. გარდა ამისა, ქალი ტფილისში პროკურორს დეპეშით სწერს: თუ შეიძლებოდეს გამანთავისუფლეთ ამგვარ გამოკითხვისაგან და ნება მომეცით ჩემს ქმართან ცხოვრებისაო. მაგრამ საქმე გამომძიებლიდან გადადის სასამართლოში, ბრალდებულად ხდებიან ტუსიშვილი და სხვა თავადები; ოლქის სასამართლო მდგომარე წლის აპრილის თვეში განიხილავს საქმეს და დაადგენს განჩინებას, რომლითაც თავ. ტუსიშვილს ჩამოართმევენ ზოგიერთს ღირსებას და გადაუწყვეტენ ერთის წლისა და რამოდენიმე თვის დაპატიმრებას. აგრეთვე სხვა თავადებსაც,რამოდენიმე ხნით პოლიციაში თუ ციხეში დატუსაღებას. მაგრამ ოლქის სასამართლოში პროკურორის ამხანაგი არ არის თანახმა ამგვარ გარდაწყვეტილებისა და საქმეს გადაიტანს სასამართლო პალატაში. სასამართლო პალატა განიხილავს 30 ამ თვისას. ბრალმდებელმა ხლადოვსკიმ ითხოვა უსათუოდ მკაცრი სასჯელი დაენიშნოს ბრალდებულებს ტუსიშვილსა და სხვებთა. ვექილები ოპოჩინინი და ჩემესოვი ამტკიცებენ, რომ მოტაცება სრულიად ქალის თანხმობით მოხდაო; ქალს თუმცა უყვარდა ტუსიშვილი, მაგრამ როგორც სომხის ქალი, აშკარად გაყოლას ვერ ბედავდა, ქურდულად გატაცებაც არ უნდოდა, ამისათვის რომ შემდეგში მშობლის წყევალა და კრულვას ასცილებოდა. ამის გამო ეგრე მოახდინესო, რის შედეგიც ის იყო, რომ ეკატერინა პამპალოვი რამოდენისამე დღის შემდეგ მოტაცებისა სრულიად თავის სურვილით ხდება კნეინა ტუსიშვილისა. რაიცა შეეხება კობიაშვილის დაჭრას, როგორც თვით აგვიხსნის სასამართლოშიო, მომხდარა უეცრად, როგორც გლეხის დაჭრა და ამის გამო ითხოვეს ვექილებმა ოლქის სასამართლოს განჩინების თუ მთლად დარღვევა არ შეიძლება, დაამტკიცონ მაინც. მუხრანსკისა და გედევანიშვილის ვექილი ტურკევიჩი, ამტკიცებდა რა სრულიად უდანაშაულობას მის რწმუნებლებისას, ითხოვს მათს განთავისუფლებას. აგრეთვე გლეხის აბრამაშვილის ვექილი გრუზენბერგი თხოულობდა სრულიად განთავისუფლებას აბრამაშვილისას. სასამართლო პალატამ შემდეგ ორი საათის თათბირისა, საღამოს 6 საათზე, გამოუცხადა ის განჩინება, რომელიც გუშინდელ ჩვენს გაზეთის ნომერში იყო მოხსენებული.....

## თეატრის მატიანე.

რუსული დრამა. დღეს ქუთაისიდან ჩამოვიდა რუსული დრამატიული დასი ბ-ნ შუმილინისა. პირველი წარმოდგენა ექნებათ ხვალ, კვირას, სათავად-აზნაურო თეატრში. წარმოადგენენ „მედეიას“, ცნობილი არტისტი ქალის მარინა მარსკაიას მონაწილეობით.

ქართული დრამატიული დასი დღეს გაემგზავრა ქ. ქუთაისს, სადაც გამართავს სამს წარმოდგენას. პირველი წარმოდგენა ექნებათ კვირას. დასდგამენ თავ. დ. ერისთავის პიესას „სამშობლო“-ს.

## გამოსადეგი ცნობა ოჯახობაში.

ბოლოკის მოყვანა. ბოლოკის თესლი ერთს დღე და-ღამეს წყალში შეინახეთ, მერე პატარა პარკით მზეზედ, ან თბილ ალაგას დასდეთ. კიდევ ერთის დღის შემდეგ თესლი ჩაყარეთ მიწით სავსე ყუთში და დრო გამოშვებით თბილი წყალი დაასხით ხოლმე. ბოლოკი სამ-ოთხ დღეში გაიზრდება, თუ ზამთარში გინდათ მოიყვანოთ ბოლოკი, გასჭერით შუაზედ კასრი. ერთ ნახევარში ჩაყარეთ მიწა, დაასველეთ ბოლოკის თესლი და დასთესეთ. მერე დახურეთ მეორე ნახევარი კასრისა, დასდგით სარდაფში და ყოველ დღე მორწყეთ თბილის წყლით. ხუთ-ექვს დღეზედ ბოლოკი გაიზრდება.

## საკალენდარო ცნობა

ნოემბერი

2 შაბ. ღირს. აკვინდინესი, მარკიანესი, ელპიდიფორესი, ანემპოდიფორესი, ანტონისა და სხვა.
3 კვ. მოწ. აკეფსიმესი, აღაპისა, იოსებისა, და გიორგისა.
4 ორშ. ღირს. იოანიკესი, მოწ. ნიკანორესი და სტეფანესი.
5 სამშ. მოწ. გალაკტიონისა, ერმისა, გაიოზისა, გიორგის და ალექსანდრესი.
6 ოთხშ. წმ. პავლე აღმსარებელისა, ღირს ვარლამისა, ლუკასი, კლავდიასი და ეფროსინესი.
7 ხუთშ. მოწ. იერონისა, თეოდოტისა, ანტონინესი, ღირს ლაზარესი, 33 მოწ. მელიტონელთა.
8 პარასკ. კრება მთავ-რ ანგელოზის მიხეილისა და სხვათა უხორცთა ძალთა, ღირ. მართა და მარიამისა.
9 შაბ. მოწ. ონისიფორესი, და პორფილესი, ანტონისა, ალექსანდრესი, ღირს მატრონასი.